პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 1 აპრილი, 1944 წ. № 67 (7011). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ანვითარებდნენ, დაიკავეს ციხე-სიმაგრე და ქალაქი ოჩაკოვი — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც კეტავს დნეპრ-ბუგის ლიმანის შესასვლელს.

ოჩაკოვის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ცვეტაევის, პოლკოვნიკ ნიკიტინის, პოლკოვნიკ დოროფეევის ჯარებმა, პოლკოვნიკ მაზოვსკის, პოდპოლკოვნიკ პორტნოვის არტილერისტებმა, პოლკოვნიკ ფურსის მესანგრეებმა და პოდპოლკოვნიკ ნეიშარაძის მეზღვაურებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ოჩაკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ოჩაკოვის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 31 მარტს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ოჩაკოვი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობდნენ ოჩაკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 31 მარტი.

ერთგული ლენინელი, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი

მეოთხედი საუკუნის წინათ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინადადებით, ხალხის ნებით, საბჭოთა რესპუბლიკას სათავეში ჰუდგა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი. ოცდათული წელი თავისთავად არ არის მცირე დრო. მაგრამ ისტორიას აქვს დროის განსაკუთრებული ანგარიში. არის მომენტები, როცა დღე თვეს უთანაბრდება, ხოლო თვე წელიწადად ითვლება. ის წლები, რომლებიც ამხ. კალინინმა გაატარა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე, აღსავსეა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით.

ამხ. კალინინი არჩეულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს საპასუხისმგებელო პოსტზე 1919 წელს, იმ მძიმე და საშიშ მომენტში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდა თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. 1944 წლის ისტორიულ დღეებს, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის დიად გამარჯვებათა დღეებს ემთხვევა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მისი მოღვაწეობის 25 წლისთავი. მეოთხედი საუკუნე დაძაბული სახელმწიფოებრივი შრომისა ჩვენს დიად, განუმეორებელ ეპოქაში! ეპოქა ტკივრით ხდა წილად მიხეილ ივანეს-ძე კალინინს, და საბჭოთა სახელმწიფო საქმეების მართვის სიმძიმეს იგი უცვლელად ატარებდა და ატარებს საბჭოთა ხალხთან და ლენინ-სტალინის პარტიის ნების ერთგული აღმსრულებელი.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს ჩვენი ხალხი თავისი რჩეულის იუბილეს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსდის გულითადი მისალმებანი ამხანაგ კალინინს. წითელი არმიის მეომრები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები პატივისცემას გამოხატავენ ერთგული ლენინელისადმი, რომლის სახელი გახდა სამშობლოს ინტერესებისადმი, მისი კეთილდღეობისა და აყვავებისადმი თავდადებული სამსახურისა და ერთგულების სიმბოლო.

„...რაც შეგიხება ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრებს, მთავრობის წევრებს,— ამბობდა ამხანაგი სტალინი,—ჩვენთვის არ არსებობს სხვაგვარი სიცოცხლე, თუ არა სიცოცხლე ჩვენი დიადი საქმისათვის, თუ არა სიცოცხლე ხალხის საყოველთაო კეთილდღეობისათვის, ყველა მშრომელის, მილიონიანი მასების სიხარულისათვის საბრძოლველად...“.

ამხანაგ კალინინის მთელი სიცოცხლე მაგალითია ხალხისადმი ასეთი სამსახურისა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს მხურვალედ უყვარს მიხეილ ივანეს-ძე კალინინი. მისი სრულთა შეგიძლიათ ნახოთ მუშის ბინაში და გლეხის სახლში, საბჭოთა ინტელიგენტის ბინაში. მიხეილ ივანეს-ძის პიროვნებაში ჩვენი ხალხი ხედავს თავისი ნაციონალური ხასიათის ნიშნებს — სულის კეთილშობილებას, გულისხმიერებას, უბრალოებას, ნიჭს, მზადყოფნას — ყველაფერი შესწიროს სამშობლოს. შესანიშნავი მაგალითი ამ ტვერელი გლეხისა და პიტერელი მუშისა, რომელიც უთვალსაჩინოესი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი გახდა, გვიჩვენებს მშრომელი ხალხის სულიერი ძალიერების მაღალ დონეს.

ხალხის ინტერესებისადმი სამსახურმა ჩააყენა ამხ. კალინინი რევოლუციონერთა რიგებში, ბოლშევიკთა რიგებში. მას გავლილი აქვს ნახევარი საუკუნის რევოლუციური, ბოლშევიკური მოღვაწეობის გზა. მის პირველ პოლიტიკურ სკოლას წარმოადგენს ლენინის მიერ დაარსებული „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირი“. იგი აქტიურად მონაწილეობს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციურ ბრძოლაში, ორგანიზაციებისა, რომელთაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. ლენინი და სტალინი არიან მისი მასწავლებლები, ლენინურ-სტალინურ სკოლაში მან შეიძინა გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის თვისებები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თავის მ-სალმებაში ამხანაგ კალინინს ეწოდებენ ერთგულ ლენინელს, ლენინ-სტალინის პარტიის ნების ერთგულ აღმსრულებელს. ამხანაგ კალინინის მთელი მოღვაწეობა უცვლელად იმსახურებდა ჩვენი ქვეყნის მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის კავშირისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მშრომელთა საქმისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს საქმისათვის, ბრძოლაში ამხანაგი კალინინი წარმოადგენს ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწის ნიმუშს.

ყველა პერიოდში იგი წარმოსდგება ჩვენს წინაშე, როგორც მებრძოლი ბოლშევიკი, როგორც ოლმობელი მებრძოლი ხალხის მტრების წინააღმდეგ. პარტიასა და ხალხს მათ რევოლუციურ ბრძოლაში, ახალი სახოგადოების ასაგებად, საბჭოთა სახელმწიფოს ასაგებად წარმოებულ ტიტანურ შემოქმედების მუშაობაში უხდებოდათ სიარული ახალი, ჯერ კიდევ გაუკაფავი გზებით, ყოველგვარი სიძნელისა და ხიფათის დაძლევა. საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ებრძოდა რწმენით აგებდა ახალ საზოგადოებას, სძლევდა ყველა სიძნელეს, რაც კი მას გზაზე ხვდებოდა. საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე თავისი დაძაბული შრომით ამხ. კალინინი დაუღალავად განამტკიცებდა ჩვენი საბჭოთა წყობილების ურყევ ძლიერებას.

ამხ. კალინინი გამოდიოდა როგორც პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიების მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი. მართალი და მგზნებარე, ბრძნული, დამაჯერებელი ბოლშევიკური სიტყვით იგი გამოდის უაღრესად მრავალფეროვან აუდიტორიებში, ჩვენს პრესაში.

სამოქალაქო ომის წლებში სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის აგიტმატარებელი გამოჩნდებოდა ხოლმე კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელის, პოლონეთის ფრონტებზე. წითელი არმიის ზნედართმთავრები ადარებდნენ ამხ. კალინინის მათთან მისვლას უდიდესი რეზერვების მიღებას, რეზერვებისა, რომლებიც აღფრთოვანებდნენ ჯარებს. მტერზე გამარჯვების მგზნებარე რწმენას აღნთებს ხოლმე ჩვენს მეომრებში ამხანაგ კალინინის პოწოდებები წითელი არმიის მებრძოლებისა და ოფიცრებისადმი სამამულო ომის დღეებში. შთამაგონებელი, სავმირო საქმისათვის აღმაფრთოვანებელი სიტყვით მიმართავს იგი მებრძოლს: „ფაშიზმთან ბრძოლა მებრძოლის სიცოცხლეა საუკუნეების მანძილზე. თუ ლაპარაკობ სიცოცხლის სილამაზეზე, მაშინ სწორედ საშობლოსათვის თავდადებული ბრძოლა მშვენიერი სიცოცხლის უმაღლესი გამოვლინებაა. აი რატომ მატულობს ჩვენი წინააღმდეგობა, აი რატომ მოიცავს გმირობა ჩვენი წითელი არმიის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებს, და, რაც უნდა მძიმენვარებდეს ფაშიზმი, რა სამხედრო ფანდებიც უნდა გამოიგონონ მისმა გენერლებმა, იგი მაინც განადგურებული იქნება... ჩვენი გმირობა აღშფოთებული ხალხის წიაღიდან მომდინარეობს, მისი ზღვრები იმ ისტორიულ ხალხურ ქარტიელების მშვირვალებამდე აღწევს, რომლებიც თავის გზაზე ყველა დაბრკოლებას სპობენ“.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომმა მოინთხოვა ჩვენი ხალხის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზაცია, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ძალების მობილიზაცია. ამ ომში მოწმდება საბჭოთა ხელისუფლების, საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ორგანიზებულობა. ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა წყობილებამ, ჩვენმა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლეს ამ უდიდეს განსაცდელს. საზიზღარი მტერი, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, წითელი არმიის მარტო მძლავრ წინააღმდეგობას როდი შეხვდა. მტერს ვაგემეთ გაპანადგურებელი დარტყმები, გადამწყვეტი დამარცხებანი, რამაც ჰიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენა. გმირი წითელი არმია, რომელიც ემყარება მტკიცე საბჭოთა ზურგს, ზედიზედ აღწევს ბრწყინვალე გამარჯვებებს, „ეს გამარჯვებანი, — ნათქვამია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მისალმებაში ამხ. კალინინისადმი,—თვალნათლივ გვიჩვენებენ ძალასა და ურყევ ძლიერებას ჩვენი საბჭოთა წყობილებისას, რომლის შექმნასა და განმტკიცებას თქვენ შეუწირეთ მეოთხედი საუკუნის დაძაბული შრომა. საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოსადი 25 წლის მანძილზე თქვენი ოცვლელი ხელმძღვანელობა გამოხატავს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძალასა და სიმტკიცეს“.

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე ამხ. კალინინის მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. კალინინს, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ბრძანება მიანიჭა.

კანონიერი სიამაყის გრძნობა ეუფლება ღიის საბჭოთა ადამიანების გულს, სიამაყის გრძნობა თავისი ძლევამოსილი საბჭოთა სამშობლოსათვის, თავისი ძლიერი, მამაცი და ნიჭიერი ხალხისათვის. ჩვენს ხალხს დიადი წარსული და დიადი აწმყო აქვს. მას დიადი მომავალი ელის. მისმა ვაჟებმა და ქალიშვილებმა თავიანთი შრომითა და ბრძოლით მოიპოვეს მთელი პროგრესიული კაცობრიობის პატივისცემა. მის ბელადებსა და ხელმძღვანელებს ალტაცებით შესცქერის თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხი. ფაშისტებმა ეს ხალხი, რომელმაც თავისი წმაღიდან წარმოშვა ისეთი დიდი ბელადები, როგორც ლენინი და სტალინი, ისეთი საბჭოთა ხელმწიფო მოღვაწეები, როგორც მიხეილ ივანის-ძე კალინინი.

„პრავდის“ 31 მარტის მოწინავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. სიტყვას ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მახარაძის რაიონს გადაეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა

(მახარაძე, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

1943 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში უხვი სამხედრო მოსავლისათვის დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან გამარჯვებული გამოვიდა მახარაძის რაიონი და მას მიეკუთვნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

29 მარტს ქ. მახარაძეში შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების შეკრება, მიძღვნილი დროშის გადაცემისადმი. შეკრებას დაესწრნენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების ხელმძღვანელები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

შეკრება გახსნა მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. დოლიძემ.

1943 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და 1944 წლის ამოცანების შესახებ შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სიხარულიძე.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა, — აცხადებს ამხ. სიხარულიძე, ენერგიული შრომის შედეგად საპატიო ჯილდო მოიპოვეს. ეს გვავალებს წელს ფრონტსა და ქვეყანას მივცეთ გაცილებით მეტი ჩაი, ციტრუსი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ჩვენი რაიონი ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების ძირითადი რაიონია. წელს ერთისაადად გადიდებულია ჩაის ფოთლის დასამზადებელი ფასები. ეს უდიდეს სტიმულს ჰქმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის. აპრილი ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადების გადამწყვეტი თვეა. საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ ჩვენი რაიონისათვის ისეთ ფრიად პასუხსაგებ სამუშაოს, როგორიც არის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების განხორციელების საფუძველზე კოლმეურნეობებმა გაძლიერეს მზრუნველობა ციტრუსოვანი ნარგავებისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არიან ცალკეული კოლმეურნეობანი, რომელნიც არასაკმაოდ უვლიან ციტრუსებს და ჩაის. ახალ ჯილდოს ვუპასუხოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებით.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

— მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებო,—ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი, — გასული წლის მუშაობას აჯამებენ და მიმდინარე წლის საბრძოლო ამოცანებს სახავენ სასიხარულო დღეებში, როცა ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია. წითელი არმია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვართან მივიდა. ეს ბრწყინვალე გამარჯვებანი ახალი შრომითი მამაცობისათვის აღფრთოვანებენ საბჭოთა ზურგის მშრომელებს. საკოლმეურნეო წყობილებამ ბრწყინვალედ ჩაუარა გამოცდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ამარაგებენ ფრონტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად საჭირო დახმარებას უწევს ფრონტს. სამამულო ომის დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულია შესანიშნავი წარმატებები. საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კეთილსინდისიერად ასრულებენ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის დავალებებს. ამხანაგ სტალინის მზრუნველობით, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში ფართოდ დაინერგა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები ჩაი, ციტრუსები და სხვ. ჩაი და ციტრუსები გადაიქცნენ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ. მახარაძის რაიონი საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს შორის მოწინავე რაიონია, რომელიც 1943 წელს გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებიდან გამარჯვებული გამხდარა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

1944 წელს,—განაგრძობს ამხ. ბუჯიაშვილი, —რაიონის მშრომელთა წინაშე დიდი ამოცანები დგას. მთავარია ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საერთო მოსავლის გადიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება. მახარაძის რაიონის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს დიდი გამოცდილება აქვთ ჩაის, ციტრუსების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. საჭიროა მაღალი მოსავლის მიღების ოსტატთა მდიდარი გამოცდილება ფართოდ გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს. სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებებს საფუძველი ახლა ეყრება. ფრონტისადმი შემდგომი დახმარების გაძლიერებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, ორგანიზებულად მოვაწყოთ ჩაის ფოთლის კრეფა ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით და გადაჭრით გავაძლიეროთ მებაღე და მიმდინარე წლის საბრძოლო ამოცანებს სახავენ სასიხარულო დღეებში, როცა ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია. წითელი არმია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვართან მივიდა. ეს ბრწყინვალე გამარჯვებანი ახალი შრომითი მამაცობისათვის აღფრთოვანებენ საბჭოთა ზურგის მშრომელებს. საკოლმეურნეო წყობილებამ ბრწყინვალედ ჩაუარა გამოცდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ამარაგებენ ფრონტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად საჭირო დახმარებას უწევს ფრონტს. სამამულო ომის დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულია შესანიშნავი წარმატებები. საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კეთილსინდისიერად ასრულებენ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის დავალებებს. ამხანაგ სტალინის მზრუნველობით, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში ფართოდ დაინერგა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები ჩაი, ციტრუსები და სხვ. ჩაი და ციტრუსები გადაიქცნენ სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ. მახარაძის რაიონი საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს შორის მოწინავე რაიონია, რომელიც 1943 წელს გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებიდან გამარჯვებული გამხდარა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

1944 წელს,—განაგრძობს ამხ. ბუჯიაშვილი, —რაიონის მშრომელთა წინაშე დიდი ამოცანები დგას. მთავარია ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საერთო მოსავლის გადიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება. მახარაძის რაიონის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს დიდი გამოცდილება აქვთ ჩაის, ციტრუსების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. საჭიროა მაღალი მოსავლის მიღების ოსტატთა მდიდარი გამოცდილება ფართოდ გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს. სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებებს საფუძველი ახლა ეყრება. ფრონტისადმი შემდგომი დახმარების გაძლიერებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, ორგანიზებულად მოვაწყოთ ჩაის ფოთლის კრეფა ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით და გადაჭრით გავაძლიეროთ ჩაის, ციტრუსების და სხვა ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების მოვლა.

მახარაძის რაიონის მშრომელებს, — ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი, — უფლება არა აქვთ მიეცენენ თვითდამშვიდებას მიღწეული წარმატებებით. 1944 წელს უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას. სოფლის მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საჭიროა გაორეკეცებული ენერგიით მუშაობა.

ამხ. ბუჯიაშვილი დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშით აბარებს დროშას საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანს ამხ. სიხარულიძეს, ულოცავს დროშის მიღებას და იმედს გამოსთქვამს, რომ რაიონის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დროშის მიღებას უპასუხებენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებით.

ამხ. სიხარულიძის საპასუხო სიტყვის შემდეგ ილაპარაკა სოფელ შრომის ორდენიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ორაგველიძემ. — ჩვენი კოლმეურნეობა, — სთქვა მან, — ინიციატორია სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისა უკრაინელ კოლმეურნეებთან. წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებები, ხალხთა სტალინური მეგობრობა აღგვაფრთოვანებს დაძაბულად ვიმუშაოთ საკოლმეურნეო მინდვრებზე. დროშის მიღება — ეს საპატიო ჯილდოა. ამიტომ ოკეთესად უნდა ვიმუშაოთ, რომ შემდგომშიაც შევინარჩუნოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ვკისრულობთ წელს სახელმწიფოს ჩავაბარეთ 12 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი, 6 მილიონით მეტი, ვიდრე შარშან, 30 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა სახელით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჯაბუამ განაცხადა, რომ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცემენ 40 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს, 1 მილიონით მეტ ციტრუსს, 30 ტონით მეტ ტუნგოს ნაყოფს. კოლმეურნეობა ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 19 ცენტნერს ერთწლიანი კულტურების მოსავალს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა, 12 ჰექტარ სიმინდს დასთესს თავდაცვის ფონდში. ფაშისტი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებს კოლმეურნეები გაუგზავნიან 13 ხარს, 2 ძროხას, 2 ცხენს და 14 საკლავ საქონელს.

სოფელ განახლების ბოდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. კვაჭაძემ იკისრა ერთწლიანი კულტურები ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 20 ცენტნერი, სიმინდი დასათესად ითვისოს 25 ჰექტარი ყამირი ქაფი. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულოს 15 ტონის გადაჭარბებით. 5 პროცენტით გაზარდოს ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სოფელ კონჯაათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ტ. ჩხაიძემ სთქვა: კოლმეურნეობის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები კიდევ შეტად დავირაზმებით ბარაქიანი მოსავლის მოსაყვანად, ვადაზე ხუთი დღით ადრე შევასრულებთ ერთწლიანი კოლტურების თესვას, გადაჭრით გავაუმჯობესებთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხს.

სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მალაზონიამ შეკრებას სიტყვა მისცა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულებენ. თითოეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიიღებენ 3.500 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, თითოეულ ჰექტარზე ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობას შესაბამებენ და გადიდებენ.

შეკრებას მიმართა მაიორი კოჩერეკო, კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს ბევრთვე სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქ. ჩხარტიშვილმა, სოფელ მერიის კირიოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტ. მიქატაძემ, სოფელ ვაკიჯვრის ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გიორგაძემ, სოფელ ნაგომრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მოქიამ, სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა შ. ცეცხლაძემ.

შემოვიდა წინადადება 1944 წელს გამარჯვების მოსავლის მიღებისათვის მოიწყოს სოციალისტური შეჯიბრება და მახარაძის რაიონმა შეჯიბრებაში გამოიწვიოს დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი 1944 წელს ჩაის, ციტრუსების, ჭარცლეულის უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემოგომი აღმოცენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

საბჭოთა ხალხი მიესალმება მ. ი. კალინინს

მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახელზე, საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე ხალხისადმი მისი სამსახურის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ყველა მოდის მისალმებანი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან, გულთბილი მისალმებანი გამოგზავნეს და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს:

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა;

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა და მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოებმა;

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა.

* * *

ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და სოფლებისა ქვეყანაყოფებში აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე მ. ი. კალინინის მოღვაწეობის 25 წლისთავის დღეს. საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება მ. ი. კალინინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას.

მ. ი. კალინინის სახელობის მოსკოვის ფაბრიკაში გაიმართა საერთო-საფაბრიკო მიტინგი. ფაბრიკის დირექტორმა ამხ. სტრუჩკოვმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ფაბრიკის კოლექტივი ჩაება წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს აპრილის გეგმა. ეს ვადა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს და თვის პროგრამა დამთავრებულ იქნას 25 აპრილისათვის. — ჩვენ ყველანი ბედნიერი ვიქნებით, თუ ასეთი მუშაობისათვის ჩვენი ძვირფასი მიხეილ ივანეს-ძე გვეტყვის: „გმადლობთ“,— ამბობს დასასრულ ამხ. სტრუჩკოვი.

ამხ. კალინინთან შეხვედრათა შესახებ გულთბილად და აღფრთოვანებით უამბეს მიტინგის დამსწრეთ მუშა ქალმა ამხ. გრიგორიევამ და ოსტატის თანაშეგზმა ამხ. სავუშკინმა.

სვერდლოვსკში დიდი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მ. ი. კალინინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ იმ ქარხნის მუშაკები, რომელიც მის სახელს ატარებს.

ყველა საამქროში საბარი გაიმართა; აგიტატორებმა ილაპარაკეს ლენინისა და ს

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 მარტის ოპერატიული ცნობა

31 მარტის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი—ქალაქი **დუნაევცი**—გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **სმოტრიჩევკა, ზელენჩი, ჩანკოვი, ზალესცი, პანასოვკა, ვოროგეევკა, ივანკოვცი, ძერჟანოვკა, იაცკოვცეცკაია გუტა, ძსავეროვკა, კნიაჟოლი, ვიხვატნეცი, სტუდენიცა, დეშენი, ფურმანოვკა, ვრუბლევცი.**

ქალაქ **კამენეც-პოდოლსკის** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას აწარმოებენ მდინარეებს **დნესტრსა** და **პრუტს შუა**, დაიკავეს დასახლებული პუნქტები **დარაბანი, კაკლეშკა, დანკოვცი, გელევცი, კიშლა სალიევა, მამალიგა, კრივა** და რკინიგზის სადგურები **კრივა, მამალიგა.**

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები **ბრძოლებით მიიწევდნენ წინ** და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პარკანი, შიკ�ტენი, კეკენი, ვადულეკა, ბრინზენი, ტირშიცი, სირკოვა, ცარენი, ვიხვატინცი, ზოზულიანი, კოკენეკი, კულნა** და რკინიგზის სადგური **შიპოტენი** და, ამრიგად, გადასჭრეს **კიშინიოვ-იასის** რკინიგზა.

ტირასპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები **განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას** და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები — ქალაქი **და** რკინიგზის დიდი სადგური **კოტოვსკი**, ქალაქი **ანანიევი, ანდრეევო-ივანოვკა**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს **100**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ვალიარკა, ელიზავეტოვკა, გონდრაბურა, შელეხოვო, ეკატერინოვკა, პოკროვკა, ნიკოლაევკა, ისაევო, ოსტროვკა, ივანოვკა** და რკინიგზის სადგური **ჩუბოვკა.**

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები **ხდევნიდნენ უკანდახეულ მოწინააღმდეგეს** და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური **ბერეზოვკა**, ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი **ტილიგულო-ბერეზანკა (სუფოროვო)** და **160**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, ამრიგად, ბრძოლებით დაიკავეს **160**-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სტრიჟავოკი, შვარცევო, პეტროვკა, ბოგოროდეტსკოეკა, ოსკაროვკა, ზავოდოვკა, ვორმსი, როკრაბინი, ოსნოვა, იგნატოვკა, კოშეაროვკა, ადამოვო, ანდრეევკა** და რკინიგზის სადგური **კოლოსოვკა, კალაგლეია.**

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები **ანვითარებდნენ შეტევას** და დაიკავეს **ციხე-სიმაგრე** და ქალაქი **ნოვაკოვა** — გერმანელთა თავდაცვის **ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი**, **რომელიც ჰკეტავს დნეპრ-ბუგის ლიმანის შესასვლელს.**

ფრონტის სხვა **უბნებზე** მთელ **რიგ პუნქტებში** ადგილობრივი **მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.**

30 მარტის განმავლობაში **ჩვენმა ჯარებმა** ყველა **ფრონტზე** დაახვინეს და **მოსპეს** გერმანელთა **29 ტანკი.** საჰაერო **ბრძოლებში** და საზენიტო **არტილერიის** ცეცხლით **ჩამოგდებულია** მოწინააღმდეგის **35** თვითმფრინავი.

✿ ✿ ✿

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. გაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა დღეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრისა—ქალაქ დუნაევცის მისადგომებზე. გერმანელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დაჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ ეს დასაყრდენი პუნქტი და გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი, რომელიც მათ თავიანთი ძალების მანევრირების შესაძლებლობას აძლევდა. 6 შენაერთის მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და გადამწყვეტი დარტყმით განდევნეს გერმანელები ქალაქ დუნაევცედან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის მრავალი გვამი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი და სამხედრო მასალა.

ქალაქ ჩერნოვიცისათვის ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 1.500-ზე მეტი ჰიტლერელი და ტყვედ წამოიყვანეს მტრის 900 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დაცლა, რომელშიც არის 14 სარკინიგზო ეშელონი და, გარდა ამისა, 312 ვაგონი და პლატფორმა სხვადასხვა ტვირთიანად, 12 დიდი საწყობი სურსათით, საჭურველითა და საომარი მასალითურთ, რამდენიმე ასეული ავტომანქანა, აგრეთვე ბევრი სხვადასხვა საჭურველი. ჩერნოვიცისათვის წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში **ტანკისტები** ამხ. **ივანოვის** მეთაურობით **უეცრად** შეიჭრნენ **აეროდრომზე**, **რომელზეც** მოწინააღმდეგის **40** სატრანსპორტო და საბრძოლო თვითმფრინავი იყო. გერმანელთა ვერც ერთმა თვითმფრინავმა ვერ მოასწრო აფრენილიყო. ტანკისტებმა მოსპეს მტრის თვითმფრინავების ნაწილი, ხოლო დანარჩენები ხელთ იგდეს ვარგის მდგომარეობაში.

• • •

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა სწრაფი იერიშით წაიწიეს წინ და დაიკავეს რკინიგზის სადგური შიპოტენი. ამრიგად, საბჭოთა ჯარებმა გადასჭრეს კიშინიოვ-იასის რკინიგზა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელთა საბრძოლო ძალების მანევრირების შესაძლებლობას აძლევდა. 6 შენაერთის მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და გადამწყვეტი დარტყმით განდევნეს გერმანელები ქალაქ დუნაევცედან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის მრავალი გვამი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი და სამხედრო მასალა.

• • •

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები სდევნიან უკანდახეულ მოწინააღმდეგეს და ზედიზედ ურტყამენ მას. 6 შენაერთის მებრძოლებმა წინ წაიწიეს 15 კილომეტრით და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ბერეზოვკა. სხვა საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი ტილიგულო-ბერეზანკა (სუფოროვო) და 160-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში რამდენიმე საბჭოთა ტანკი დიდ დასახლებულ პუნქტში შეიჭრა. ამ სოფელში მყოფი ჰიტლერელები, გარშემორტყმის შიშით, თავზარდაცემულნი გაიქცნენ და მიატოვეს **16** ქვემეხი, **100** ავტომანქანა, სურსათის აღალი და გადასასვლელ საშუალებათა პარკი. რკინიგზის სადგურ კოლოსოვკაში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის **2** ეშელონი სამხედრო ქონებიანად.

• • •

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს და გარემოცვის საფრთხე შეუქმნეს ციხე-სიმაგრე და ქალაქ ოჩაკოვის გერმანელთა გარნიზონს. ამავე დროს შავი ზღვის ფლოტის სანაპირო დაცვის სადესანტო ჯგუფმა **კინბურგის** ისარადან გადალახა დნეპრ-ბუგის ლიმანი და ოჩაკოვის ნავსადგურში შეიჭრა. ხმელეთიდან და ზღვიდან ერთობლივი მოქმედების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ციხე-სიმაგრე **და** ქალაქი ოჩაკოი. შავი ზღვის ფლოტის სადესანტო ჯგუფმა დაიკავა აგრეთვე კუნძული პერეოვაისკი. ამრიგად, დნეპრ-ბუგის ლიმანის შესასვლელი მთლიანად გაწმენდილია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციის საჰაერო დაზვერვამ განთიადისას ნარვის ყურეში აღმოაჩინა ოწინააღმდეგის ხომალდების ჯგუფი, საბჭოთა ბომბდამშენება და მოიერიშე თვითმფრინავები ავიაგამანადგურებლების თანხლებით დაუყოვნებლივ ფრინდნენ და იერიში მიიტანეს მტრის გემებზე. ძლიერი საზენიტო ცეცხლის მიუხედავად, ჩვენი მფრინავები მიზანთან გაიჭრნენ და ჩასძირეს მოწინააღმდეგის ორი სადარაჯო ხომალდი და ორი სადარაჯო კატერი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა **6** თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

გერმანელთა სარდლობამ ყირიმში სპეციალური შტაბი შექმნა პარტიზანებთან საბრძოლველად. მაგრამ გერმანელ სამხედრო ხელისუფალთა ყველა ცდა—მოეხდინათ პარტიზანული მოძრაობის ლიკვიდაცია — სრული მარცხით დამთავრდა. პარტიზანების მოქმედება ამ ბოლო დროს კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა. მარტის მიორე ნახევარში ყირიმელმა პარტიზანებმა 400-მდე გერმანელი და რუმინელი ოკუპანტი გაჟლეტეს. სადგურ ჯანკოიში ამფეთქებელმა პარტიზანებმა აიფეთქეს სარკინიგზო შემადგენლობა საწვავიანად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1944** წლის **8** მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკთა, დიდი ჯგუფი.

საქართველოს სს რესპუბლიკიდან დაჯილდოებული არიან:

მედლით „მამაცობისათვის"

სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტი **ვ. გ. ბილავსკი.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **ს. გ. გალუსტოვი,**

სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი **შ. ი. წიკლაური.** (საკვლევი).

სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოება

საჭურვლისა და სამხედრო ქონების შეგროვების საქმეში სამაგალითო ომის ფრონტებზე მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სადავო სამსახურის ნაწილების გენერლები, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებული არიან **პოდპოლკოვნიკი ანდრია ნაუმის-ძე ზარხიძე** და **კაპიტანი ვასილ აბრამის-ძე გარხეანიძე.**

უკანასკნელი ცნობები

რეიფერი ინგლისის მთავრობისადმი იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მიმართვის შესახებ

ლონდონი, 31 მარტი (საკვლევი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა მარშალ ტიტოს მეთაურობით ინგლისის ხელისუფალთ მიმართა თხოვნით — ხელი შეუშალონ ახალ ზომებს, რასაც იუგოსლავიის სამეფო მთავრობა იღებს იუგოსლავიის იმ გემებზე **კონტროლის** დარგში, **რომლებიც** ამჟამად **მიწერილია** ინიანობის **დროის** ტრანსპორტის სამინისტროზე'.

იუგოსლავიის ნაციონალური **განთავისუფლების კომიტეტის** ლონდონელმა **წარმომადგენელმა** დოქტორმა **რუდოლფ ბიჩანიჩმა** გამოაქვეყნა **განცხადება** ამის **შესახებ, რომ** ნაციონალური **განთავისუფლების** კომიტეტი **„არ** სცნობს **ემიგრანტული** მთავრობის **მიერ** დადებულ **არავითარ ხელშეკრულებას** თუ ვალდებულებას".

მდგომარეობა უნგრეთში

სტოკჰოლმი, 31 მარტი (საკვლევი). გაზეთი „აფონბლადეტი" გადმოგვცემს, **რომ** უნგრეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჯალაის კაბინეტში კერესტეშ-ფეშერი თავის ბინაზე მოჰკლეს უცნობმა პირებმა. ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი იროში გადაყენებულია უნგრეთში მყოფი გერმანიის **რწმენებულის** ბრძანებით და მის მაგიერ დაინიშნა უნგრეთის გერმანული ნაციონალური უმცირესობის ხელმძღვანელის ძოადგილე.

პოლონელ ჯარისკაცთა—დასავლეთ უკრაინის მკვიდრთა ჯგუფის დაპყრობრება

ლონდონი, 31 მარტი (საკვლესი). 29 მარტს პოლონელთა ანდერმერიამ დაატყვია ჯარისკაცთა — დასავლეთ უკრაინის მკვიდრთა ჯგუფი, რომლებმაც განაცხადეს, არ გვსურს იმ არმიის რიგებში დავრჩეთ, **რომ**ელსაც პოლონეთის **ემიგრანტული** მთავრობა ხელმძღვანელობს.

ამერიკის ჯარების პარადი ლონდონში

ლონდონი, 31 მარტი (საკვლესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, 30 მარტს ლონდონის ქუჩებში გაიმართა პარადი 3 ათასი ამერიკელი ჯარისკაცისა შეპრის ჯარების შემადგენლობიდან. ასეულ ათასობით ლონდონელი მიესალმა პარადის მონაწილე ჯარებს.

ეს პარადი ლონდონში სამხედრო ფონდისათვის სახსრების შესაგროვებლად გამართული **კამპანიის** ნაწილია. ამ ფონდმა ორ კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში უკვე 110 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაამეტა.

პანიკა „სს"-ელ ბანდიტებს შორის ბერლინის დაბომბვის დროს

ბეტებორგი, 31 მარტი (საკვლესი). შვედური გაზეთი „გეტებორგს მორგონპოსტი" გადმოგვცემს ერთი ფრანგის ნაამბობს, რომელიც ბერლინის სატანკო ქარხანაში მუშაობდა და გერმანიიდან გამოიქცა. იმ პანიკის შესახებ, რომელიც „სს"-ელები გერმანიის დედაქალაქზე უკანასკნელი თავდასხმის დროს. თავდასხმის შედეგად, **რომ**ელშიც მონაწილეობას იღებდა 750 ბომბდამშენი, ქარხანა მთლად დაინგრა. „სს"-ელები, **რომ**ლებიც ქუჩებში **პატრულირებას** ეწეოდნენ, ტყვიამფრქვევს უშენდნენ **ყველას**, ვინც კი საეჭვოდ ეჩვენებოდათ. „სს"-ელები, **რო**გორც ეტყობა, **უცხოელ** მუშათა **შორის** მღელვარების **შესაძლებლობას** ითვალისწინებდნენ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XI პლენუმი

29-30 მარტს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XI პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: ლენინის რაიონის საწარმოებში ახლადმოსულ მუშათა შენარჩუნებისა და მათი საწარმოო-ტექნიკური სწავლების შესახებ; სავაჭრო ქსელის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და დამხმარე მეურნეობების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის მდგომარეობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ხუჯაძემ.**

ამხ. ხუჯაძემ მოიყვანა მასალები რაიონის საწარმოებში მუშათა-კადრების შენარჩუნებისა და მომზადების დავალებათა შესრულების შესახებ, დაახასიათა ამ მნიშვნელოვან დარგში ცალკეული ქარხნებისა და ფაბრიკების სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

მუშათა ახალი კადრების სწავლისა და აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, საელმავლო და საორთქლმავლო დეპოებში და სხვა საწარმოებში.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში წესად შემოიღეს საუბრები ახალმოსულებთან, რომლებსაც ეხმარებიან სამუშაოს ათვისებაში, საჭირო ჩვევების მიღებაში. საორთქლმავლო დეპოს ადმინისტრაცია და პარტორგანიზაციის ბიურო სისტემატურად აწყობენ ახალგაზრდობის შეხვედრას კადრის მუშებთან.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ საწარმოებში საათანადო ყურადღებას არ აქცევენ მუშათა ახალი კადრების მომზადებას.

მუშათა ახალ შევსებაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო, ჯერ კიდევ დიდია დენადობა, არის შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ტრიკოტაჟის კომბინატში და შუშეულობის ქარხანაში. სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს მუშათა კადრების სწავლისა და აღზრდის საქმეს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ჩაის საწონ ფაბრიკაში და სხვ.

1943 წლის მეორე ნახევარში ტრიკოტაჟის კომბინატში სრულიად არ არსებობდა ტექნიკური სწავლების წრე.

შუშეულობის ქარხანაში მუშათა 50 პროცენტზე მეტი ვერ ასრულებს ნორმას და საწარმო თვიდანთვემდე თავს ვერ ართმევს დავალებებს.

ბომბსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების მუშაობაზე, რომელთა რიცხვი რაიონის საწარმოებში თანდათან იზრდება. ამ ბრიგადების შექმნის შედეგად შესაძლებელი გახდა დაახლოებით 200 კვალიფიციური მუშის განთავისუფლება სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ბრიგადები მუშათა ნაკლები რაოდენობით წარმატებით ასრულებენ ომის დროის საწარმოო დავალებებს.

ამხ. ხუჯაძემ ხაზი გაუსვა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლს მუშათა ახალი კადრების აღზრდის საქმეში და მოიყვანა მთელი რიგი დადებითი მაგალითები სათრთქლმავლო დეპოს, 26 კომისრის სახელობის ქარხნის და სხვ. პარტორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან. გამოყოფილი არიან აგიტატორები, კერძოდ, ახალი მუშების, საერთო საცხოვრებლებში, გაჩაღებულია ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

ამავე დროს ტრიკოტაჟის კომბინატის პარტორგანიზაციას, მაგალითად, 14 თვის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავს საკითხი მუშათა პოლიტიკური აღზრდისა და სწავლების შესახებ. ეს საქმე თვითდინებას მიანდეს შუშეულობის ქარხნის, ცენტროლიტის, აგურის მექანიზებული ქარხნის და სხვ. პარტორგანიზაციებმა.

— პარტიის ლენინის რაიკომის ბიურო, — ამბობს დასასრულ ამხ. ხუჯაძე, — რეგულარულად იხილავდა მუშათა კადრების მომზადებისა და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მაგრამ ნაკლოვანებანი ამ საქმეში ომს ეოწმობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამ დარგში მიღებული ყველა გადაწყვეტილების შესრულებას.

ამხ ხუჯაძის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა.

სტალინის სახელობის ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. **ნიფარიძემ** პლენუმს გააცნო ქარხნის კვალიფიციური კადრების — მექანიკოსთა, შემდუღებელთა, ელექტრომონტიორთა და სხვ. მომზადების მიმდინარეობა.

მრავალმა მუშამ, **რომ**ელიც საწარმოში მოვიდა და არ ჰქონდა გამოცდილება, არ იყო დაუფლებული პროფესიას, მოკლე დროში შეისწავლა დავალების გადამეტებით შესრულება. მაგალითად, ყოფილი დისანტლისი ა. კასაბოვი ტექნიკური სწავლის შედეგად ყოველდღიურ დავალებას 166 პროცენტით ასრულებს, 80 პროცენტით გადაიდგა თავისი წარმის ნაყოფიერება დურგალმა მღებრიშვილმა.

ნაკლი ის არის, **რომ** საამქროთა ცალკეული ხელმძღვანელები და საამქროთა პარტიული ორგანიზაციები არსებითად არ მუშაობენ მუშათა კადრების სწავლებისა და აღზრდისათვის.

მაგრამ თავის სიტყვაში ამხ. ნეფარიძემ ვერ**ი**ერი ყურა**ა** იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, **რ**ომლებიც ახასიათებენ ქარხნის პარტკომის მუშაობას მუშათა მომზადებისა და შენარჩუნების საქმეში.

ახალმოსულთა სანიმუშო მუშაობის მთელი რიგი მაგალითები მოიყვანა თავის სიტყვაში 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორმა ამხ. **მელაძემ.**

ქარხნის მიერ ახალი სახის **პროდუქციის** ათვისებამ მოითხოვა **საინჟინერო** ხელმძღვანელობისა და **პარტიული** ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება მუშათა მომზადებისადმი სპეციალობათა მიხედვით.

ფართოდ **არის** შემოღებული **პრაქტიკაში** საწარმოო **სწავლების** გასავლელად ახალმოსულთა **მიმაგრება** კადრის **გამოცდილ** მუშებთან.

მაგრამ ქარხანაში **ყველაფერი** რიგზე **რო**დია **კადრების** შენარჩუნების **მხრივ.** დენადობა **ჯერ** კიდევ **დიდია.**

თბილისის **პარტიული** ორგანიზაციის **სტალინის** **რაიკომის** **მდივანმა** **ამხ.** **ლილაძემ** ილაპარაკა **რაიონის** **ცალკეულ** **საწარმოთა** **მუშაობის** **გამოცდილების** **შესახებ** **მუშათა** **კადრების** **აღზრდისა** **და** **სწავლების** **საქმეში.**

მრავალი **ახალი** **მუშა** **წარმატებით** **დაეუფლა** **პროფესიებს.**

მაგრამ **მთელ** **რიგ** **საწარმოებში** **არადამაკმაყოფილებლად** **ხელმძღვანელობენ** **მუშათა** **კადრების** **შენარჩუნებას.** **ამის** **შედეგად** **მაუდის** **ფაბრიკა,** **ტრამვაი-ტროლეიბუსების** **სამართველო** **და** **სხვა** **საწარმოები** **განიცდიან** **მუშახელის** **ნაკლებობას.**

ბევრი **პირველადი** **პარტიული** **ორგანიზაცია** **საკმაო** **ყურადღებას** **არ** **უთმობს** **მუშათა** **ახალი** **შევსების** **პოლიტიკური** **აღზრდის** **საკითხებს.**

საქართველოს **კ. პ. (ბ)** **თბილისის** **კომიტეტის** **მდივნის** **მოადგილემ** **მრეწველობისა** **და** **ტრანსპორტის** **დარგში** **ამხ.** **ლილაშვილმა** **ხაზი** **გაუსვა** **იმას,** **რომ** **ახალი** **მუშები** **მრავალ** **საწარმოში** **მთელი** **კოლექტივის** **60-70** **პროცენტს** **შეადგენენ** **და** **ეს** **ავალებს** **სამეურნეო** **და** **პარტიულ** **ხელმძღვანელებს** **ყოველდღიური** **ყურადღება** **დაუთმონ** **ამ** **კადრების** **აღზრდას** **და** **მათ** **შენარჩუნებას** **წარმოებაში.**

ამხ. **ლილაშვილ** **მოიყვანა** **ახალი** **მუშების** **თავდადებული** **შრომის** **მაგალითები** **და** **ამავე** **დროს** **გააკრიტიკა** **ნაკლოვანებანი** **ახალმოსულთა** **აღზრდისა** **და** **სწავლების** **საქმეში,** **კერძოდ,** **ლენინის** **რაიონის** **საწარმოებში.** **შესამჩნევია** **მუშახელის** **დენადობა** **რაიონის** **ძირითად** **საწარმოებში.** **ნაკლები** **ყურადღება** **ექცევა** **კვალიფიციური** **კადრების** **ადგილობრივ** **მომზადებას.**

საჭიროა **უფრო** **ფართოდ** **გაიშალოს** **ტექნიკური** **სწავლების** **წრეების** **ქსელი,** **უფრო** **მეტად** **მივიზიდოთ** **ინჟინერ-ტექნიკური** **მუშაკები** **ახალმოსულთა** **სწავლების** **სახელმძღვანელოდ.**

საჭიროა **გაძლიერდეს** **საწარმოებში** **კადრების** **განყოფილებათა** **შემადგენლობა.**

მუშათა **ახალი** **შევსების** **სწავლებისა** **და** **აღზრდისათვის** **კომკავშირული** **ორგანიზაციების** **პასუხისმგებლობის** **შესახებ** **ლაპარაკობს** **პლენუმზე** **საქართველოს** **ალკკ** **თბილისის** **კომიტეტის** **მდივანი** **ამხ.** **შენგელია.** **მან** **მოიყვანა** **ფაქტები,** **რომ**ლებიც **მოწმობენ** **კომკავშირულ-ახალგაზრდული** **ბრიგადების** **უდიდეს** **როლს** **ფრონტისადმი** **ზურგის** **დახმარების** **გაძლიერების** **საქმეში.** **თბილისში** **370-ზე** **მეტი** **ასეთი** **ბრიგადა** **არსებობს,** **მაგრამ** **მათი** **მოწინავე** **გამოცდილება** **ჯერ** **კიდევ** **სუსტად** **ვრცელდება.**

ამხ. **შენგელიამ** **გააკრიტიკა** **ახალგაზრდობას** **შორის** **პოლიტიკურ-აღმზრდელობითს** **მუშაობასა** **და** **კულტურულ-საყოფაცხოვრებო** **მოსახურებაში** **არსებული** **ნაკლოვანებანი** **ცალკეულ** **ქარხნებში** **და** **ფაბრიკებში.**

ამხ. **სალაძემ** **ილაპარაკა** **საწარმოო-ტექნიკური** **სწავლების** **ფრრმებსა** **და** **მეთოდებზე,** **რაც** **ქარხნის** **პრაქტიკაშია** **შემოღებული** **ომიანობის** **ვითარებაში.**

კადრის **სტახანოველთა** **მიერ** **ახალმოსულთა** **ინდივიდუალურ** **სწავლებასთან** **ერთად** **გაშლილა** **ტექნმინიმუმის** **წრეების** **ქსელი,** **არსებობენ** **სტახანოვური** **სკოლები**

ნაკლი **ის** **არის,** **რომ** **ზოგიერთ** **საამქროში** **კვალიფიკაციის** **ასამაღლებელი** **კურსები** **არ** **არსებობენ.** **ამჟამად** **მცირეა** **წრეების** **მეცადინეობაზე** **დასწრება,** **არასაკმაოდ** **არის** **მოგვაგონებელი** **სტახანოვური** **გამოცდილების** **გაზიარების** **საქმე.** **ამიტომ** **ჯერ** **კიდევ** **მნიშვნელოვანია** **იმ** **მუშათა** **რიცხვი,** **რომ**ლებიც **ნორმებს** **ვერ** **ასრულებენ.**

საქართველოს **კ. პ. (ბ)** **თბილისის** **ორგანიზაციის** **მოლოტოვის** **რაიკომის** **მდივანი** **ამხ.** **ლუარსაბოვი** **შეჩერდა** **მთელ** **რიგ** **საწარმოებსა** **და** **არტელებში** **მუშათა** **კადრების** **მომზადებაზე.**

მნიშვნელოვან **წარმატებებს** **მიაღწიეს:** **1-ლმა** **სამკერვალო** **ფაბრიკამ,** **სადაც** **ტექნმინიმუმგავლილთა** **75** **პროცენტმა** **ფრიადზე** **და** **კარგზე** **ჩაბარა** **სახელმწიფო** **გამოცდა,** **საკონცელარიო** **ნივთების** **ფაბრიკა-სკოლამ** **და** **სხვ.**

მაგრამ **ცალკეული** **პირველადი** **პარტორგანიზაციები** **(როგორც,** **მაგალითად,** **ფეხსაცმელის** **მე-3** **ფაბრიკაში)** **ყურადღებას** **არ** **აქცევენ** **ახალმოსულთა** **აღზრდის** **საკითხებს.** **ამ** **მხრივ** **განსაკუთრებით** **ცუდადაა** **საქმე** **არტელებში.**

პარტიის **რაიკომის** **ბიურო** **ხშირად** **იხილავს** **მუშათა** **კადრების** **მომზადებისა** **და** **შენარჩუნების** **საკითხებს.** **მიმდინარე** **წლის** **დამდეგს** **ეს** **საკითხი** **განხილა** **რაიონის** **აქტივმა.**

ახალი **მუშების** **მომზადებისა** **და** **აღზრდის** **საქმეში** **ქარხნის** **პარტიული** **ორგანიზაციის** **მუშაობის** **გამოცდილება** **პლენუმის** **მოწვილებს** **გაუზიარა** **კიროვის** **სახელობის** **ქარხნის** **პარტბიუროს** **მდივანმა** **ამხ.** **ფირცხალავამ.**

იქ **პრაქტიკაშია** **შემოღებული** **სკოლების** **შექმნა** **იმ** **მუშებისათვის,** **რომ**ლებიც **ნორმებს** **ვერ** **ასრულებენ.** **ამ** **ღონისძიებამ** **გაადიდა** **სტახანოველთა** **რიცხვი,** **მკვეთრად** **შეამცირა** **ჩამორჩენილთა** **პროცენტი,** **40** **აგიტატორი** **ეწევა** **მასობრივ** **ახსნა-განმარტებითს** **მუშაობას** **საამქროებში.**

მაგრამ **საამქროთა** **პარტიული** **ორგანიზაციები** **ჯერ** **კიდევ** **სუსტად** **მუშაობენ** **სტახანოველთა** **ახალი** **კადრების** **აღსაზრდელად.** **ამ** **საკითხს** **იშვიათად** **იხილავენ** **საამქროთა** **პარტიულ** **კრებებზე.**

საქართველოს **სს** **რესპუბლიკის** **სახკომსაბჭოსთან** **არსებული** **შრომითი** **რეზერვების** **სამმართველოს** **უფროსმა** **ამხ.** **ჩხეიძემ** **ხაზი** **გაუსვა** **იმ** **გარემოებას,** **რომ** **სახელოსნო,** **რაიონიზნი** **სასწავლებლებმა** **და** **საფაბრიკო-საქარხნო** **სწავლების** **სკოლებმა** **სამამულო** **ომის** **დღეებში** **თბილისის** **საწარმოებს** **ათასობით** **მუშა** **მოუმზადეს.**

მაგრამ **ეს** **შეესება** **ყველგან** **სათანადოდ** **როდი** **იქნა** **მიღებული** **და** **შენარჩუნებული** **საწარმოში.** **ამხ.** **ჩხეიძემ** **ცალკეულ** **საწარმოთა** **პრაქტიკიდან** **მოიყვანა** **ფაქტები,** **რომ**ლებიც **მოწმობენ** **რომ** **ადგილობრივი** **ორგანიზაციები** **უყურადღებობას** **იჩენენ** **ახალგაზრდა** **მუშების** **ნაყოფიერი** **მუშაობისათვის** **ყველა** **პირობის** **შექმნის** **საქმეში.**

ხოლო **იქ** **(როგორც,** **მაგალითად,** **კალინინის** **სახელობის** **ქარხანაში,** **საინსტრუმენტო** **ქარხანაში** **და** **სხვ.),** **სადაც** **ახალმოსულებს** **ყურადღებითა** **და** **მზრუნველობით** **ეპყრობიან,** **ახალგაზრდა** **კადრები** **გვიჩვენებენ** **მაღალნაყოფიერი,** **თავდადებული** **შრომის** **ნიმუშებს.**

საქართველოს **კ. პ. (ბ)** **თბილისის** **კომიტეტის** **მდივნის** **მოადგილე** **მსუბუქი** **და** **კვების** **მრეწველობის** **დარგში** **ამხ.** **ცქიტიშვილი** **თავის** **სტუყვაში** **შეჩერდა** **მთელ** **რიგ** **საწარმოებში** **მუშების** **მომზადების** **ხარისხსა** **და** **მათს** **შენარჩუნებაზე.**

ახალმოსულთა **მატერიალურ-საყოფაცხოვრებო** **პირობების** **გასაუმჯობესებლად** **ოკეანესად** **მუშაობენ** **ბერიას** **სახელობის** **ფეხსაცმელის** **ფაბრიკაში,** **საინსტრუმენტო** **ქარხანაში,** **საკონდიტრო** **ფაბრიკაში** **და** **სხვა** **საწარმოებში.**

26 **კომისრის** **სახელობის** **რაიონის** **ბიურო** **არასაკმაოდ** **მუშაობდა** **მუშათა** **ახალი** **კადრების** **სწავლებისა** **და** **შენარჩუნების** **საკითხებზე,** **ვერ** **უზრუნველჰყო** **თავის** **გადაწყვეტილებათა** **შესრულების** **შემოწმება.**

საქართველოს **სს** **რესპუბლიკის** **მსუბუქი,** **საოჯახო** **და** **კვების** **მრეწველობის** **სახალხო** **კომისარიატები** **არადამაკმაყოფილებლად** **ამზადებდნენ** **კადრებს** **თავისი** **საწარმოებისათვის,** **ამ** **საქმის** **ხელმძღვანელობა** **

გავაღიზღოთ შრომის ნაყოფიერება, მივცეთ სამშობლოს, ფრონტს მეტი პროდუქცია

საქართველოს სსრ საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ბრიგადირთა 1-ლი რესპუბლიკური თათბირის მიმართვა საქართველოს სსრ საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოთა ახალგაზრდობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

უსაზღვროა მთელი ჩვენი ხალხის სიხარული. გმირი წითელი არმია, ჩვენი მშობლიური ბელადისა და მასწავლებლის, უმაღლესი მთავარსარდლისა და საბჭოთა კავშირის მარშალის — დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით დაუნდობლად ანადგურებს გერმანელთა დივიზიებს შეუჩერებლივ მიდის წინ — დასავლეთისაკენ. ჩვენი სამშობლოს ლამაზ ველ-მინდვრები თავისუფლდება გერმანელთა ურდოებისაგან. კარგახანია, ჩვენს ქუჩაზეც დადგა დღესასწაული.

ქართველმა ახალგაზრდობამ, რომელსაც ბრავალი წლის განმავლობაში ზრდიდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ჩვენი მშობლიური ბელადისა და მასწავლებლის — დიდი სტალინისადმი, ჩვენი დედა-სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, რომელმაც ჩაუნერგა ამ ახალგაზრდობას უკეთილშობილესი თვისებები—სიმამაცი, გამბედაობა, თავდადება და მტრისადმი სიძულვილი, — სამამულო ომის დღეებში ბრძოლის ველზე და ზურგში თავის რიგებიდან გამოაწრთო გმირი ადამიანები. ესენი არიან ბრძოლაში უშიშარნი, ხოლო შრომაში — დაუღალავნი. ისინი ამრავლებენ ქართველი ხალხის ბრძოლისა და შრომის სახელოვან ტრადიციებს.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გმირი წითელი არმიისა და ხალხის ამ წარმატებებში ჩვენს შრომასაც უდევს წვლილი. საქართველოს მრეწველობაში მომუშავე ახალგაზრდობას მუდამ გვახსოვს სტალინური მითითება, რომ ზურგი იგივე ფრონტია, რომ ყოველი საშუალებით უნდა დავეხმაროთ წითელ არმიას. ჩვენს საწარმოებში ყოველდღიურად ფართოვდება ომის დროის სტახანოველთა — ორასოვანთა, სამასოვანთა, ათასოვანთა რიგები. იზრდება შრომის ნაყოფიერება. ჩვენს რიგებში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მოსკოვის პოზონივე კომკავშირულ-ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადის ძვირფასმა თაოსნობამ. ეკატერინე ბარანშნიკოვას მითითებით ახლა მრავალი ათეული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს საქართველოში.

ხახელოვანი წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავის გამო გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფრონტულმა და კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა მიაღწიეს გეგმის გადაჭარბებით მრავალი ასეული ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას.

საბჭოთა მთავრობამ დიდად შეაფასა საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა ენერგიული, დაუღალავი მუშაობა, რის შედეგადაც ბევრი ახალგაზრდა დაჯილდოებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი და სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის ნიშნით.

მაგრამ ამ წარმატებებით როდი ვეძლევით თვითკმაყოფილებას. ჩვენ მტკიცედ დავიხსომეთ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სბჭოული დარიგება: „ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალა ათჯერ დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე".

ეს ამას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას უფრო მეტი პროდუქცია. ჩვენ უნდა მივცეთ წითელ არმიის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და მოსახლეობას ფართო მოხმარების საქონელი.

ჩვენ, საქართველოს სსრ საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოთა ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ბრიგადირთა 1-ლი რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, რომელებმაც შეეჯიბრეთ საწარმოებში ჩვენი მუშაობის მაჩვენებლებში, მოვმართავთ თქვენ — საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ახალგაზრდობას კიდევ უფრო ფართოდ გაშალოთ მუშაობა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, ორასოვანთა და ფრონტული ბრიგადების რაოდენობის გამრავლებისა და გეგმის ზეგით პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდისათვის, რათა ამით უზრუნველყოთ გმირი წითელი არმიისადმი უფრო მზარდი დახმარება.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულების მიზნით ჩვენ, პირველი რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მივაღწიოთ თვიური საწარმოო გეგმების შესრულების მაღალ მაჩვენებლებს. უზრუნველყოთ გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულება და გეგმის ზეგით პროდუქციის სისტემატურად გამოშვება.

2. 1944 წლის მეორე და მესამე კვარტალში ჩვენი ბრიგადების თითოეული წევრი არმაღლებს თავის კვალიფიკაციას, ათვისებს სულ მცირე ორ ოპერაციას ან ერთ პროფესიას და ახლად ათვისებული სამუშაოს მიხედვით ჩაებარებს ტექმინიმუმს ფრიადზე.

3. 1944 წლის მეორე კვარტალში ბრიგადის თითოეული წევრი შეასწავლის თავის პროფესიას ერთ ახალ მუშას მაინც, ან გადასცემს თავის გამოცდილებას სულ მცირე ორ მუშას.

4. სრულყოფილად შეეისწავლით საკუთარ დაზგას, მანქანას. უახლოეს 3-4 თვეში ვისწავლით მის მოწყობასა და მიმდინარე რემონტს.

5. მივაღწევთ ძირითადი და დამხმარე მასალების ელექტროენერგიის, საცხები მასალების 3 პროცენტით ეკონომიას დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

6. გავზრდით შრომის ნაყოფიერებას 10-20 პროცენტით და უზრუნველყოფთ ნაკლები მუშახელით მეტი და ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და რაციონალიზაციის საშუალებით.

7. სისტემატურად ვიმუშავებთ ჩვენი იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად.

8. ჩვენს ერთ-ერთ პასუხსაგებ ამოცანად მიგვაჩნია რა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების რაოდენობის ზრდა, თათბირის თითოეული მონაწილე კისრულობს, თავის საწარმოში შეჭიქნას ახალი ბრიგადა და იბრძოლოს ბრიგადებში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისათვის.

9. გავაძლიერებთ ფრონტელთა ოჯახებისა და მათი ბავშვებისადმი დახმარებას. ამ მიზნით მოვაწყობთ კვირეულებს და განვახორციელებთ სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებს.

მოვაწყობდით ჩვენს საწარმოებში მომუშავე ახალგაზრდობას მიპაძონ ჩვენს მაგალითს, უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ საწარმოო დავალებების შესრულებისათვის, გრაფიკის ზუსტი დაცვისა და პროდუქციის გამომუშავების გაზრდისათვის.

ვიცით, რომ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების წარმატებით მუშაობა მრავალმხრივ არის დამოკიდებული ჩვენს უფროს, ამხანაგებზე — ოსტატებზე, ტექნიკოსებზე, ინჟინრებსა და ძველ კადრის მუშებზე. ჩვენ მიგმართავთ მათ თხოვნით — მეტი ყურადღება შეაქციონ ახალგაზრდა მუშებს ტექნიკურ სწავლებას, გადასცენ მათ თავიანთი მოშაობის გამოცდილება და ყოველმხრივ დაეხმარონ შრომის უკეთესად და უფრო რაციონალურად მოწყობაში.

რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი გამუშვალულნი ვართ ჩვენი დიდი საქმის წარმატების ურყევი რწმენით. ჩვენი სამეუნაო ინარაღები დღედაღამ იმოძრავებენ, რათა სულ უფრო და უფრო გაადიდონ ფრონტისადმი დახმარება.

...ვფიცავთ სამშობლოს სახელოვან
ხალხის დიდებას,
ჩვენ ფრონტს შევსწირავთ სიჭაბუკის
წვასა და გზნებას,
მაღაროებში, საამქროებში, თუ ქარხანაში,
კოლექტივებში — გამარჯვება მუდამ
გვექნება...

კომკავშირელებო და ახალგაზრდებო, არც ერთი წუთი უნაყოფოდ!

ნაკლები მუშახელით მივცეთ ქვეყანას მეტი პროდუქცია!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს მშობლიურ სტალინს!

მიმართვა მიღებულია საქართველოს სსრ საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოთა ფრონტული და კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადების ბრიგადირთა პირველ რესპუბლიკურ თათბირზე 1944 წლის 22 მარტს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა საფრონტო და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების ბრიგადირთა პირველი რესპუბლიკური თათბირის მიმართვა. საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ახალგაზრდობისადმი და დაავალა საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს კომკავშირული აქტივის სამეურნეოებში გასწიონ ფართო აგიტაცია ამ მიმართვის პოპულარიზაციისათვის.

20 აპრილამდე უნდა ჩატარდეს საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კომკავშირელების ღია კრებები. ამ კრებებზე უნდა განიხილონ რესპუბლიკური თათბირის მიმართვა, ფართოდ ჩაბნან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრონ კონკრეტული საწარმოო ვალდებულებანი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და გეგმის გადაჭარბებით პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად. ამავე დროს ამოცანად არის დასახული მიაღწიონ საფრონტო და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ნაკლები მუშახელით საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას და ა. შ.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

საბჭოთა კავშირის გმირი მიგრან მიგრანის-ძე ბასტანჯიანი

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან ჭაბუკობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

1944 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" გადაეცა წითელი არმიის 138 ოფიცერს, სერჟანტსა და წითელარმიელს. მათ შორის არის აფხაზეთის მშრომელთა სახელოვანი შვილი მიგრან მიგრანის-ძე ბასტანჯიანი.

ამხ. მ. მ. ბასტანჯიანი დაიბადა 1913 წელს სოფელ ზემო ეშერში (სოხუმის რაიონი). მისი მშობლები მალე გადავიდნენ სოფელ ალახაძეში გადავიდნენ საცხოვრებლად. მ. ბასტანჯიანმა აქვე მიიღო პირველდაწყებითი სწავლა, რის შემდეგ გადავიდა გაგრის საშუალო სკოლაში.

1934 წლიდან ამხ. მ. ბასტანჯიანი მუშაობას იწყებს კოოპერაციის ხაზით, შემდეგ შემნახველ სალაროში, ხოლო 1935 წლის გაწვეულ იქნა წითელი არმიის რიგებში. არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1937 წელს, მუშაობს სოფლის საბჭოს მდივნად, 1938 წლიდან 1942 წლის იანვრამდე კი აფხაზეთის გაგრის განყოფილების საწყობის გამგედ და ექსპედიტორად. იგი კომკავშირის რიგებში ირიცხებოდა 1927 წლიდან, ხოლო 1940 წლიდან სკკ. კ. პ. (ბ) წევრია.

წითელი არმიის რიგებში ამხ. მ. ბასტანჯიანი გაწვეულ იქნა 1942 წლის იანვარში. ამის შემდეგ მამაცი მებრძოლი განუწყვეტლივ იმყოფება ფრონტზე და მუსრავს ფაშისტ დამპყრობლებს. ფრონტზე წასვლის წინ მან დაიბარა: „მივდივარ სამშობლოს დასაცავად, პარსისხლიანი ფაშისტების გასაჟლეტად. დავბრუნდები მხოლოდ სასახელოდ ომგადახდილი, სამშობლოს წინაშე ჰირნათელი". მომავალი გმირი ამ სიტყვების ერთგული დარჩა. ერთ-ერთ თავის წერილში იგი იწერებოდა: „გადავლახეთ მდინარე დნეპრი. ასობით და ათასობით ვეულეტთ ვერაგ ფაშისტებს, ლეგენდარული ბრძოლებით ვწმენდთ დნეპრის ნაპირებს. ვიბრძვი თავდადებით და მრავალ ჰიტლერელს მოვუღი ბოლო. სარდლობამ დაიფასა ჩემი თავდადება და ჯილდოზე წარმადგინა".

მიგრანი ხშირად იგონებს თავის ცოლშვილს, დედას, და-ძმებს; მისი ოჯახი სისტემატურად ღებულობს გმირის პატრიოტულ წერილებს, რომლებშიც იგი მოუწოდებს თავდადებით იშრომონ და დაეხმარონ ფრონტს, სამშობლოს ვერაგი მტრის განადგურებაში.

გმირის მოწოდებას ზურგში აქტიური შრომით უპასუხებენ მისი ოჯახის წევრები. მიგრანის დედამ, რომელიც 54 წლისაა, გასულ წელს კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 350 შრომადღე, მისი და არსენიკა და ძმა ვართანი ფრიადოსნები არიან. ძმა აშოთი, რომელიც სტახანოველი ტრაქტორისტი იყო, ამჟამად მტრის წინააღმდეგ იბრძვის ფინეთის ფრონტზე და დაჯილდოებულია საბრძოლო მედლით.

ცნობამ მ. მ. ბასტანჯიანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ ალფრთოვანება გამოიწვია გაგრის რაიონის მშრომელთა შორის. მიტინგებსა და კრებებზე მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება კიდევ უფრო გააძლიერონ დახმარება ფრონტისადმი. ამ დაპირებას გაგრის რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ.

გ. მერკვილაძე

საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე ივანეს-ძე გორბაჩევსკი

ალექსანდრე გორბაჩევსკი უკრაინელია. იგი დაიბადა ოდესის ოლქის სოფელ რუკაშოვკაში, დაწყებითი სასწავლებელი იქ დამთავრა. ამ ათი წლის წინათ მამა-მისი პეტერ



დელი ივანე გორბაჩევსკი გადმოვიდა საცხოვრებლად ქობულეთში, ხოლო 16 წლის ალექსანდრემ დაიწყო სწავლა ბათუმში.

ალექსანდრე გორბაჩევსკის იტაცებდა საფრენოსნო საქმე. ტექნიკუმში სწავლის დროს მან დაამთავრა საავიაციო კურსები და როგორც საუკეთესო მსმენელი გაიგზავნა სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში. 1940 წელს მან დაამთავრა ეს სკოლა და უმცროსი ლეიტენანტის წოდებით გაიგზავნა საავიაციო ნაწილში.

სამამულო ომის პირველი დღიდან ამხ. გორბაჩევსკი ჩაება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თავისი ბომბდამშენი თვითმფრინავით რისხვად ატყდება მტრის კომუნიკაციებს, ანადგურებს მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. მრავალი ფიცხელი ბრძოლა გადაიხადა ამხ. გორბაჩევსკიმ და თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა პილოტმა, ინიციატივიანმა და უშიშარმა მეომარმა. ამჟამად ამხ. გორბაჩევსკი უკვე გვარდიის კაპიტანია. იგი სამჯერ დაიჭრა ბრძოლაში, მაგრამ განკურნებისთანავე ბრუნდებოდა თავის თვითმფრინავზე.

მამაცმა კაპიტანმა გორბაჩევსკიმ განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლენინის ქალაქისათვის ბრძოლებში. მან მონაწილეობა მიიღო ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში, ხოლო შემდეგ ლენინგრადის მისადგომებიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განდევნაში. ამ ბრძოლებში მან დაიმსახურა წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი და მედალი „ლენინგრადის დაცვისათვის".

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით გვარდიის კაპიტან ალექსანდრე ივანესძე გორბაჩევსკის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

ალ. ახალაძე

ოფიცერ ჯავახიშვილის მამაცობა

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ლენინგრადის ფრონტზე დიდად გაითქვა სახელი ოფიცერმა ჯავახიშვილმა. მისმა მამაცობამ და გულადობამ ბევრ ჩვენს მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ჯავახიშვილი მენადმეა. ლენინგრადის ფრონტის ჯარების შეტევის მარტო 20 დღის განმავლობაში ჯავახიშვილმა ორ მებრძოლთან ერთად უვნებელჰყო 330 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 70 ავიაბომბი, სამი ათას კილოგრამამდე ფეთქებადი ნივთიერება, ავრეთვე სახეს ამფეთქებლიანი 600 მუტი, რომლებიც გერმანელებს რკინიგზის ლიანდაგებზე ჩაეწყოთ. ჯავახიშვილმა საფრთხეში ჩაიგდო თავი და რკინიგზის რამდენიმე მილი განნაღმა. წითელარმიული გაზეთი „ბოევოი სიგნალი" სტატიას უძღვნის მამაც საბჭოთა ოფიცერს და მისი საბრძოლო გამოცდილების პროპაგანდას ეწევა.

ვ. ქარა-მურზა

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისათვის

მეჯი ხორბალი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული

ბორი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები მჭიდროვლივ იწონებენ ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების პატრიოტულ თაოსნობას და ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჯარეზაშვილმა, რომელიც ბაეცნო ლაგოდეხელთა მიმართვას, კოლმეურნეთა სახელით იკისრა გეგმის გადამეტებით წელს დასთესოს 6 ჰექტარი სიმინდი და 2 ჰექტარი ბოსტნეული, ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 20 ცენტნერი სიმინდი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა, თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გაზარდოს 1,5 ცენტნერით, საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმა შეასრულოს ვადაზე ადრე, საგაზაფხულო თესვა დაამთავროს ვადაზე 5 დღით ადრე.

სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში სრული მოწონებით შეხვდნენ მიმართვას. კოლმეურნეობამ თესვა 30 ჰექტარზე უკვე დაამთავრა. გარდა ამისა, დარგო 14 ჰექტარი სათესლე ჭარხალი, 1944 წლისათვის შაქრის ჭარხალი დათესილია 6 ჰექტარზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლმეურნეთა სახელით იკისრა გაზარდოს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა, საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 255 ცენტნერი მოსავალი. მეორე ბრიგადის ბრიგადირმა შაქრო ბესიაშვილმა ბრიგადის სახელით პირობა დასდო, რომ 2 ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 600 ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სოფელ ბერბუკისა და ხიდისთავის კოლმეურნეობებმა. ბორის რაიონმა გამარჯვების მოსავლის მიღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კასპისა და ქარელის რაიონები.

შ. ჩუბინიძე

ლაგოდეხელთა ინიციატივის პასუხად

ქარელი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეები, წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას უხვი მოსავლის მოსაყვანად.

სოფელ ქარელის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ი. ავთანდილაშვილმა ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების პატრიოტული თაოსნობის პასუხად მოწვეულ კრებაზე სთქვა: — შარშან ჩვენმა ბრიგადამ უხვი მოსავალი მიიღო. მთავრობამ დამაჯილდოვა „საპატიო ნიშნის" ორდენით. ამ ჯილდოს მუშაობის გაძლიერებით ვუპასუხეთ. ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო თესვას. პირობას ვიძლევი წელს ჰექტარზე საშუალოდ ბრიგადაში მივიღოთ 13 ცენტნერი ხორბალი, 15 ცენტნერი ქერი, 13 ცენტნერი სიმინდი, 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ი. ავთანდილაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბ. გოგიჩაიშვილის ბრიგადა. რომელმაც გამოწვევა ერთხმულად მიიღო და თავის მხრივ იკისრა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი.

ზემოხვედურეთის კოლმეურნეობამ ლაგოდეხელთა მიმართვის საპასუხოდ იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 18 ცენტნერი ხორბალი, 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მაღალი ხარისხის თესლეული. მიაწოდოს მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

კეხიჯვრის სასოფლო საბჭომ, რომელსაც რაიონის გარდამავალი დროშა აქვს მიღებული, იკისრა ახალი ვალდებულებანი — სახელმწიფო დამზადებათა ყველა გეგმა შეასრულოს 1 ივლისამდე და დაეხმაროს კოლმეურნეობებს უხვი სამხედრო მოსავლის მიღებაში.

ლაგოდეხელთა მიმართვის განხილვა მასობრივად მიმდინარეობს.

ვ. ინასარიძე

შაქრის ჭარხლის თესვა

ყასპი („კომუნისტის" საკ. კორ.). შარშან მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლის დაბალი მოსავალი მიიღეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჭარხლისათვის ვერ შეარჩიეს სათანადო ნაკვეთები, ცოტა შეეტანეს ნაკელი, დაგვიანებით დაიწყეს რიგთა შორის გაფხვიერება. ასეთ მდგომარეობას უმეტესად ადგილი ჰქონდა სოფელ ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, კასპის კოლმეურნეობა „ძმობაში", რგვალიჭალის სტალინის სახელობის, სამთავისის, ქედის, ნიქოზის, ზემო და ქვემო რენეს, ჩობალაურის და სხვა კოლმეურნეობებში.

წელს კოლმეურნეებმა დიდი მონდომებით დაიწყეს მზადება ჭარხლის უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის. მათ ჭარხლის დათესვად გამოიყვეს და ეოხნეს საუკეთესო სტრუქტურა ნიადაგები და ბრიგადებსა და რაიონებზე მიამაგრეს საწარმოო ნაკვეთები. კოლმეურნეებმა ნაკვეთები გააფხვიერეს და გასწმინდეს ქვებისა და კაჭაჭებისაგან, საჭირო რაოდენობით შეიტანეს ნაკელი, მოიმარაგეს მინერალური სასუქი, ნაცარი და ქათმის ნაკელი.

კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულია კოლმეურნეობათა 300-მდე ბრიგადა და რგოლი.

კოლმეურნეობებში დაიწყეს შაქრის ჭარხლის თესვა. დათესილია 50-მდე ჰექტარი, ხოლო შაქრის ჭარხლის სათესლე ძირები დარგულია 30-მდე ჰექტარზე. თესვა წარმატებით დაიწყეს ქვემო ხანდაკის, კასპის, რგვალიჭალის, ოკმის, ქვემო გომის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ვ. გუზალაძე

თავთავიანი კულტურების თესვის გეგმის შესრულება

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა 25 მარტისათვის, ვადაზე 5 დღით ადრე, ხოლო შარშანდელთან შედარებით 25 დღით ადრე 100,6 პროცენტით შეასრულეს. დათესილია 1.580 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.570 ჰექტარისა.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა მოკლე ვადებში დაამთავრა და გეგმები გადამეტებით შეასრულა ლისის სასოფლო საბჭოს (ალმასკომის თავმჯდომარე გ. წიკლაური) ყველა კოლმეურნეობამ, აგრეთვე ზემო თელეთის კოლმეურნეობა „ომედმა" (თავმჯდომარე მერაბოვი), გლდანის ფრუნზეს სახელობის (თავმჯდომარე აბუაშვილი) და წყნეთის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე დოლიძე) კოლმეურნეობებმა.

თესვა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ვ. კოტბახიძე
მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ამირანაშვილი

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერის" პირველი ბრიგადა მარგლის ჯეჯილს.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე

20-24 მარტს თბილისში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის IV პლენუმი. მოხსენებით „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში" გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ირ. აბაშიძე.

თავისი მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ირ. აბაშიძემ დამსწრეთ გააცნო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის შედეგები. მომხსენებელი შეჩერდა მოწინავე საბჭოთა მწერლების მიერ სამამულო ომის დღეებში შექმნილ მთელ რიგ ნაწარმოებებე და ხაზი გაუსვა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად სსრ კავშირის ხალხთა დაცვის საქმეში, ილაპარაკა მწერლის როლის შესახებ ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე სსრ კავშირის ყველა ხალხის მწერალთა შთამაგონებელი სიტყვა თან ახლავს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მეომრებს, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ეგმირულ ისტორიაში უმაგალითო მამაცობის ბრწყინვალე ფურცლებს სწერენ, და ზურგის მუშაკებს, რომლებიც მთელ თავის ცოდნას და თავდადებულ შრომას ფრონტს, საყვარელი სამშობლოს თავდაცვის საქმეს ახმარებენ.

საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს შეხვდნენ ყოველ ბლონდაღში, სანგარში. კარგი წიგნი, როგორც საბრძოლო იარაღი თან ახლავს მებრძოლს ფრონტზე, ლაშქრობაში, ეხმარება მას მტრის დამარცხებაში, საგმირო საქმეების ჩადენაში.

ქართული ლიტერატურა,—ამბობს მომხსენებელი,—ომის პირველი დღეებიდანვე ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმის იმსახურება. მთელ ხალხთან ერთად საქართველოს მწერლები პატიოსნად იხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას. სსრ კავშირის მომძმე ხალხთა მწერლებთან ერთად ისინი თავიანთი ნაწარმოებებით შთაგონებენ საბჭოთა ადამიანებს, ეფექაობას, ზრდიან მათში მტრისადმი, წმიდა სიძულვილის გრძნობას, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას.

სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს მწერლებს მტკიცე კავშირი აქვთ მშობლიურ წითელ არმიასთან, ფრონტთან. ჩვენს მწერლებს შორის ორიან ბრძოლების უშეალო მონაწილენი, რასაც საშუალება მისცა მათ უფრო ღრმად შეესწავლათ საბჭოთა ადამიანი, რომელიც საკუთარი მკერდით იცავს სამშობლოს, ეჩვენებინათ, როგორ იბადება მასში ის გმირობა, რომელიც ჩვენს არმიაში მასობრივ მოვლენად იქცა. ომის ასეთი სკოლა განვლო, მაგალითად, გიორგი ნატროშვილმა, რომელმაც დასწერა საფრონტო ნარკვევების მშვენიერი წიგნი. ამ ნარკვევების მხატვრული ღირებულება ომის თემაზე დაწერილ ნოველებს უთანასწორდება. მაღალი მხატვრული ღირსებები ახასიათებს ავრეთვე კ. ლორთქიფანიძის, ი. მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის საფრონტო ნარკვევებსა და მოთხრობებს.

უმთავრესი, რაზედაც ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ, არის მხატვრული შემოქმედების იდეური სიღრმე, ჩვენი ეპოქის, ომის და მის მიერ წარმოშობილ ამბავთა სიმძაფლით ახასიათ. ჩვენი მწერლების უმთავრესი ამოცანაა უამბონ მკითხველს მხატვრულ ფორმებში საბჭოთა ადამიანის შესახებ—როგორი იყო ეს ადამიანი ომამდე, როგორ გარდაქმნა იგი ომმა, როგორ გამოავლინა მთელი მისი სულიერი და ზნეობრივი თვისებანი.

თავის მოხსენებაში ირ. აბაშიძემ აღნიშნა ისტორიული თემატიკით გატაცება, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ახასიათებს. ისტორიული დაინტერესება ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა,—აღნიშნავს მომხსენებელი,—რადგან ჩვენი ხალხის გმირული წარსული მაგალითები გვაფრთოვანებენ თავდადებისა და გმირობისათვის ფრონტსა და ზურგში. მაგრამ ისტორიული თემებით მეტისმეტი გატაცება ხელს უშლის ზოგიერთ მწერალს ასახოს დღევანდელი დღე, რომელიც ჩვენთვის კიდევ უფრო მახლობელია, ვიდრე ჩვენი წარსული.

ომის დღეებში შექმნილი ისტორიული ნაწარმოებებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კ. გამსახურდიის „დავით აღმაშენებელი" და „დიდოსტატის მარჯვენა". მეფე ერეკლეს ეპოქას, საქართველოსა და რუსი ხალხის ურთიერთობას დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს ა. ბელიაშვილი რომანში „თაგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა". ეს რომანი ავტორის დიდი შემოქმედებითი წარმატებაა. ისტორიული სიმართლე, ეპოქა, ამ რომანში უფრო ღრმად შეესწავლათ საბჭოთა ადამიანი, რომელიც საკუთარი მკერდით იცავს სამშობლოს, ეჩვენებინათ, როგორ იბადება მასში ის გმირობა, რომელიც ჩვენს

დეკეფეზები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 28 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ პლაცდარმზე ანციოსთან (რომის სამხრეთით) ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის სამი მცირე იერიში. მეხუთე არმიის მთავარ ფრონტზე მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის ერთი იერიში, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის ნაწილების განლაგების წინააღმდეგ. ფრონტის ყველა დანარჩენ უბანზე სწარმოებდა პატრულთა შეტაკება.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მთელ რიგ ობიექტებზე იტალიაში. მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საჰაერო ძალებმა მოახდინეს 1.400-მდე თვითმფრინავგაფრენა.

ლონდონი, 29 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ. მოკავშირეთა მოწინავე რაზმები გამოყვანილია მონტეკასინოს მთის აღმოსავლეთ კალთებიდან. ზოგიერთ რაიონში მტერს ძლიერ საარტილერიო ცეცხლს უშენდნენ. ანციოს რაიონის პლაცდარმზე მოგერიებულია მტრის მცირე იერიში.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა მტრის სამხედრო ობიექტების დაბომბვას იტალიის სხვადასხვა რაიონში.

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ პლაცდარმზე ანციოს რაიონში მოგერიებულია მტრის ორი მცირე იერიში. ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

წუხელ საშუალო და მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ დამახარისხებელ სადგურს სოფიაში. მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე მოწინააღმდეგის მთელ რიგ ობიექტებზე იტალიაში და ოპერაციებს აწარმოებდა მტრის გემების წინააღმდეგ იუგოსლავიის სანაპიროსთან. მოსპობილია მტრის 22 თვითმფრინავი, მოკავშირეებმა 11 თვითმფრინავი დაკარგეს. მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 1.800-მდე თვითმფრინავგაფრენა მოახდინეს ერთი დღის განმავლობაში.

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ კასინოსთან მოგერიებულ იქნა მტრის ორი იერიში. მოწინააღმდეგეს ზარალი ეთუოდა. ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა გერმანელების აეროდრომს იმოტსკიში (იუგოსლავია). სხვა შენაერთებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის გემები და სამხედრო ობიექტები იტალიაში.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 29 მარტი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ ბოსნიაში გაფთრებული ბრძოლები გრძელდება. ფრონტის ბევრ უბანზე ინიციატივა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ხელშია.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 26-ე დივიზიის ნაწილებმა სამი დღის ბრძოლების შემდეგ დაიკავეს დალმაციის სანაპიროსთან მდებარე კუნძული ხვარი.

მთელ რიგ უბნებზე ლიანდაგიდან გადაგდებულ იქნა მტრის ხუთი სამხედრო მატარებელი. მოკლული და დაჭრილია მტრის ბევრი ჯარისკაცი.

ზღვისპირის ჯგუფმა ოკუპანტებისა და მიხაილოვიჩის ჩეტნიკთა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლების შედეგად რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა გრახოვის მახლობლად.

იდენის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს თემთა პალატაში, რომ გაერთიანებული ერებისათვის დადგა სამხედრო მდგომარეობის მხრივ წელი, „რომელიც, როგორც, ჩვენ ვფიქრობთ, იქნება გადამწყვეტი მოქმედების წელი, და ვევედრებით ღმერთს, რათა იგი იყოს განთავისუფლების წელი. თუ ეს განხორციელდა, მაშინ წამოიჭრება მრავალი პრობლემა. აგრეთვე ამ დარგშიც. ახლა ამოცანა გაცილებით უფრო ძნელი ხდება, ვიდრე ის იყო წინანდელი ომის შემდეგ“.

პანიკა რუმინეთში

სტამბოლი, 31 მარტი (საკდესი). ჰიტლერის რუმინელ დამქაშთა შორის პანიკა და დაბნეულობა ძლიერდება. ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში მმართველ ხროვასთან დაკავშირებული ბევრი რუმინელი ცდილობს საზღვარგარეთ დაიმალოს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „ტიმპულის“ ცნობით, აკრძალულია სამგზავრო ბილეთების მიყიდვა მოსაზღვრე პუნქტებში მიმავალ იმ პირთათვის, რომელთაც არა აქვთ საზღვარგარეთის პასპორტები ან გასასვლელი ვიზები.

გაზეთი „ბუხარესტერ ტაგებლატი“ იუწყება, რომ, ხდება მდინარე პრუტის მარჯვენა ნაპირზე მდებარე რუმინეთის ქალაქების ევაკუაცია. ხელისუფალთა განკარგულებით, ამ ქალაქებიდან წასვლის მსურველ პირთნება ეძლევათ გადავიდნენ შუაგულ რუმინეთში სპეციალური ნებართვის აუღებლად.

თურქეთის გაზეთი „ლა ტურკი“ იუწყება, რომ ბუქარესტში მეტად დაძაბული ვითარება შეიქმნა. ქალაქში სხვადასხვა პანიკური ხმები ვრცელდება.

ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ნიურნბერგს

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, 30 მარტს ღამით ინგლისის ავიაციამ მეტად დიდი თავდასხმა მოახდინა გერმანიაზე. იერიშთა მთავარი ობიექტი იყო ქ. ნიურნბერგი. დაბომბილ იქნა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის სხვა ქალაქები.

თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა 96 ბომბდამშენი.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა სოფიაზე

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ 30 მარტს დიდი თავდასხმა მოეწყო სოფიაზე. იმის შედეგად, რომ ამერიკის რამდენიმე ასეულმა ძმიმე ბომბდამშენმა, რომლებსაც ბაზები იტალიაში აქვთ, თავდასხმა მოაწყო სოფიაზე, ქალაქში მოხდა უდიდესი აფეთქებანი და გაჩნდა დიდძალი ხანძარი.

წინა ღამით სოფიას თავს დაესხნენ ინგლისის თვითმფრინავები.

ბერლინის ავიაგამანადგურებლებმა ქალაქის თავზე საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გასწიეს. ზოგი მათგანი საესკორტო თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს, სხვები—ბომბდამშენებმა.

უნგრეთში დაშალეს პოლიტიკური პარტიები

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს ბუდაპეშტის რადიოს ცნობას, რომ უნგრეთში გამოიცა ბრძანება სოციალ-დემოკრატიული პარტიის, სოფლის წვრილ მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიისა და გლეხთა სრულიად-უნგრეთის კავშირის დაშლის შესახებ.

სამხრეთის სლავთა მიმინგი ლონდონში

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). იუგოსლავიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მესამე წლისთავთან დაკავშირებით 27 მარტს ლონდონში შესდგა სამხრეთის სლავთა მიტინგი. მიტინგის დამსწრე ორასმა სლავმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მათ მიმართეს ყველა ჯაერთიანებულ ერთა მთავრობებს და მოუწოდეს „გასწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა იუგოსლავიის ემიგრანტულ მთავრობასთან, რომელიც მოქმედებს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესთა წინააღმდეგ და რომლის სამხედრო მინისტრიც არა თუ არ აწარმოებს ბრძოლას ოკუპანტთა წინააღმდეგ, არამედ ამავამად მათთან თანამშრომლობს და ხელს აწერს შეთანხმებებს“.

„ჩვენ მოვუწოდებთ ყველა გაერთიანებულ ერს და განსაკუთრებით დიდ მოკავშირეებს, —ნათქვამია მიმართვაში,—სცნონ იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩე და განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტი. ჩვენ ზოვუწოდებთ ყველა გაერთიანებული ერის მთავრობებს, განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს, დაეხმარონ განთავისუფლების ნაციონალურ კომიტეტს დაიცვას იუგოსლავიის ნაციონალური საკუთრება და მისი მოქალაქეების საკუთრება საზღვარგარეთ ემიგრანტული მთავრობის წევრ პოლიტიკურ ავანტიურისტთა მიერ უკონტროლო და უპასუხისმგებლო გაფლანგვისაგან“.

მიტინგმა გაუგზავნა მისალმებანი სტალინს, ჩერჩილს და ტიტოს.



განთავისუფლებულ ხერსონში. ხერსონის სტალინის სახელობის საკონსერვო ქარხანა, რომელიც გერმანელებმა დაანგრიეს უკან დახევის დროს.
ფოტო ვ. ივანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

კლუხორის რაიონის, ქვემო ტებერდის საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის საფუტკრე.
ფოტო რ. აკოფოვისა

დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკი

ვხნე, დაუზარელი, ენერგიით აღსავსე, იგი ყოველთვის ავსებს და ალამაზებს თავის ცხოვრებას, კეთილშობილური ახალი საქმეებით, რომელთაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩვენი ხალხისათვის.

ნინო ლუკას-ასული მარგველაშვილი ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე შეეჩვია დამოუკიდებლად შრომას. საოჯახო მუშაობასთან ერთად იგი განაგრძობდა სწავლას საშუალო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების წინ ნინოს ქმარი გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა. გამრჯელი და ენერგიული ქალი არ შედრკა. მან დაუღალავი შრომით აღზარდა თავისი ვაჟი და მისცა იგი წითელ არმიას.

1939 წელს ნინო მარგველაშვილმა იშვილა უდედმამოდ დარჩენილი სამი წლის ჯოგონა, რომელიც ახლა 94-ე ქალთა საშუალო სკოლის I კლასის მოსწავლეა.

სამი წლის გოგონა ირა ჩარუშნიკოვას 1942 წელს დედა გარდაეცვალა, მამა კი ფრონტზე ჰყავს. ნინომ იკისრა მისი აღზრდაც. დედობრივი მზრუნველობით ზრდის იგი უდედმამოდ დარჩენილ ამ ორ გოგონას.

1942 წლის ზაფხულზე, სამამულო ომის მძიმე დღეებში ნინო ბევრ ევაკუირებულ საბჭოთა მოქალაქეს უწევდა დახმარებას. ფრონტელთა ბევრმა ოჯახმა თავშესაფარი და მეგობრული მზრუნველობა ჰპოვა ამ გულისხმიერ ადამიანთან.

და ამჟამად, როცა ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია ულმობლად ანადგურებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და მიიერკვება მათ ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყლიდან, ხოლო ევაკუირებული საბჭოთა მოქალაქეები თავიანთ ქალაქებსა და სოფლებს უბრუნდებიან, კეთილშობილი საბჭოთა ქალის ნინო მარგველაშვილის ყურადღებით და მზრუნველობით აღფრთოვანებული და მადლიერი ადამიანები არ იგიწყებენ თავიანთ უანგარო მოამაგეს და მას გულთბილ წერილებს სწერენ.

— „არასოდეს არ დავიიწყებ თქვენს გულთბილ მოპყრობას და მზრუნველობას ჩვენთვის. ბედნიერი ვიქნები, თუ შეეძლებ მომავალში ჩემი სტუმართ-მოყვარეობით ვალი გადაგიხადოთ“, — სწერს ნინოს ფრონტელ პოტაპენკოს ცოლი უკრაინიდან.

ბევრ ასეთ წერილს ღებულობს საბჭოთა პატრიოტი ქალი, დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკი ნინო მარგველაშვილი. მისი გულიც აღსავსეა ბედნიერების გრძნობით, რადგან მას თავისი პატრიოტული წვლილი შეაქვს ჩვენი ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობის საქმეში.

ალ. ჭყონია

კიეველ ფეხბურთელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

ქუთაისის რაიონის ფიზკულტურელებმა და კოლმეურნეებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის ყოლმეურნეობის ფიზკულტურელთა ინიციატივას კიეველ ფეხბურთელთა სახელობის ესკადრილიების ასაგები თანხის შეგროვების შესახებ. ამ ანგარიშზე უკვე შეტანილია 140 ათას მანეთზე მეტი. ოფშკვითის სასოფლო საბჭოში შეგროვილია 33 ათასი მანეთი, კვაჰჭირში—25 ათასი მანეთი, გეგუთში კოლმეურნეობა „კომუნარში“ — 20 ათასი მანეთი, ბარდუბნის საშუალო სკოლაში 3.800 მანეთი, ნახშირღელის სკოლაში—4 ათას მანეთამდე. თანხების შეგროვება გრძელდება.

შ. ჯავახაძე

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს საფოსტო მარკების სერიას, რომლებიც მიძღვნილია დიდი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის დაბადების 100 წლისთავისადმი. სერია შესდგება 30 და 60 კაპიკის, 1 და 3 მანეთის ღირებულების ოთხი მარკისაგან. კომპოზიტორი გამოსახულია მედალიონში დიდი თეატრის შენობის ფონზე (საკდესი).

ბ. ტაბიძის საღამო

რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მოაწყო გ. ტაბიძის შემოქმედების საღამო, რომელიც ჩატარდა ბათუმის თეატრში. მოხსენებით თემაზე „გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა“, გამოვიდა დოცენტი ი. კაკაბაძე. სიტყვა წარმოსთქვა დოცენტმა ვრ. კალანდარიშვილმა. პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის პედაგოგთა სახელით დ. ჭანტურიშვილმა, სტუდენტების სახელით — დ. რიფკაძემ. ბათუმის მოსწავლეთა სახელით — ე. სიხარულიძემ. ლექციები წაიკითხეს ნ. მალაზონიამ, რ. გორგაძემ, გ. სალუქვაძემ და სხვ. საკუთარი ლექციები წაიკითხა გ. ტაბიძემ.

საბავშვო ბაღების ქსელის ზრდა

საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი წელს აფართოებს საბავშვო ბაღების ქსელს. ბაღების რაოდენობა საქართველოში აყვანილ იქნება 228-მდე. ეს ბაღები მომსახურებას გაუწევენ 18.000-მდე ბავშვს.

შემოღებულია ბაღებში ბავშვთა მიღების ახალი წესი. მიიღებიან მხოლოდდამხოლოდ ის ბავშვები, რომელთა მშობლები სამუშაოზე არიან. ამის შესაბამისად ახლა ხდება იმ ბავშვთა სიების შემოწმება, რომელნიც საბავშვო ბაღებში დადიან.

აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის ხდება საბავშვო ბაღების აღმზრდელთა კადრებისა და ადმინისტრატიული პერსონალის შემოწმება. 200-მდე აღმზრდელი ქალი წელს გადამზადებულ იქნება სამთვიან კურსებზე

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით საბავშვო ბაღებს დაუბრუნდებათ ის შენობები, რომლებსაც ამჟამად არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

შემუშავებულია ზომები საბავშვო ბაღების მუშაკთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად (საკდესი).

ახალგაზრდა რეჟისორები

დამთავრდა ახალგაზრდა რეჟისორთა საკავშირო დათვალიერება. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეაჯამა დათვალიერების შედეგები. დათვალიერების კომისიის წევრებს და თბილისის თეატრების წამყვან მუშაკებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დათვალიერებაში — ს. კახიანელაკს, ა. ხორავას, შ. კილასონიძეს, ი. გვინჭიძეს, ა. თაყაიშვილს, ვ. ნინიძეს, ა. აბარიანს, ვ. ყუშიტაშვილს, ა. რუბინს, ბ. გალაევს, დ. ჯაბელიძეს, ა. ვასაძეს, შ. ღამბაშიძეს, შ. აღსაბაძეს, ბ. გამრეკელს, ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მადლობა გამოუცხადა.

დათვალიერების კომისიის დასკვნის შედეგად ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დათვალიერების მონაწილე რეჟისორებს მიანიჭა სახელწოდება:

დრამატიული თეატრის პირველი კატეგორიის რეჟისორისა—გ. ტოვტოფოვს, ლ. ფიდარიანს, თ. ლორთქიფანიძეს, ზ. ჩაბიევას, ო. ალექსიშვილს, გ. ტყაბლაძეს და ს. ახალაძეს;

დრამატიული თეატრის მეორე კატეგორიის რეჟისორისა — თ. წეროძეს, ა. ბოლოლოვს, შ. კამკამიძეს, მ. ვაშაძეს, მ. ჯალაღანიას, ვ. ბოჟორიშვილს და დ. არუთინოვს.

დათვალიერების მონაწილენი გ. ჟორდანია და გ. კაბიბოვი დარჩენ რეჟისორ-ასისტენტებად, ხოლო მებურნუთოვი განთავისუფლებულია სარეჟისორო მუშაობისაგან.

„ყვარყვარე თუთაბერი“ ჭიათურის თეატრში

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა განაახლა პ. კაკაბაძის ცნობილი პიესის „ყვარყვარე თუთაბერის“ დადგმა. ყვარყვარეს როლს ასრულებს მსახიობი მ. ვაშაძე. დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ს. ცომაიას.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 29 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, აეროფოტოგადაღებამ გვიჩვენა, რომ ფირმა „მანის“ უდიდესი ქარხანა აუგსბურგში, რომელიც გერმანიის წყალქვეშა ნავებისათვის დიზელ-მოტორების ძირითად ნაწილს უშვებდა, ფაქტიურად მოსპობილია.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 28 მარტი (საკდესი). ლონდონში გამოცხადდა იმის შესახებ, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა, რომლებიც გამოჩნდნენ დასავლეთ ინგლისში და სამხრეთ უელსში, აგრეთვე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ცალკე ნაწილებში 27 მარტს ღამით, ჩამოჰყარეს ბომბები ცალკე პუნქტებში. არის ზარალი და მსხვერპლი.

ადანდის კუნძულებზე გერმანიის ჯარების გადასხმის შესახებ ცნობის გამო

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). ადანდის კუნძულებზე გერმანიის ჯარების გადასხმის შესახებ ცნობას უარჰყოფს შვეციის საინფორმაციო სააგენტო.

გაზეთი „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“ სწერს, რომ ამჟამად სტოკჰოლმში არ არის მიღებული არავითარი ცნობა, რომელიც აღნიშნავდეს იმას, რომ გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ცნობა გერმანელების მიერ ალანდის კუნძულების ოკუპაციის შესახებ სწორი იყოს.

დასავლეთ უკრაინელი ჯარისკაცები ცდილობენ გამოვიდნენ პოლონეთის არმიის შემადგენლობიდან

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). სამხედრო წინათ პოლონეთის არმიის 35 ჯარისკაცმა, — ეროვნებით რუსებმა და უკრაინელებმა, რომლებიც უკრაინის დასავლეთ ოლქებიდან არიან, — დასტოვა თავიანთი ნაწილები და ლონდონს ჩამოვიდა, სადაც ისინი ინგლისელ ხელისუფალთ სთხოვენ პოლონეთის არმიიდან გადაყვანას.

საკდესის კორესპონდენტმა ინახულა შენობა, სადაც ჯარისკაცები არიან, და გაიგო შემდეგი: „ყველა ჯარისკაცი, როგორც ანტიფაშისტი, ნებაყოფლობით შესულა პოლონეთის არმიაში 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ. ისინი ჯერ კიდევ ომამდე გამგზავრებულან სამუშაოდ არგენტინაში, მაგრამ პოლონეთის მოქალაქეებად თვლელბიან. ჯარისკაცები აცხადებენ. რომ ისინი ყოველნაირად ეცდებიან გადავიდნენ საბჭოთა მოქალაქეობაში. მაგრამ ჯერჯერობით მათ სურთ გამოვიდნენ პოლონეთის არმიის შემადგენლობიდან, სადაც ანტისაბჭოთა ატმოსფერო სუფევს. „ჩვენ არ გვინდა ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ“, — აცხადებენ ჯარისკაცები. მათ შეგნებული აქვთ, რომ შეიძლება წარსდგნენ სამხედრო-საველე სასამართლოს წინაშე. მიუხედავად ამისა, მათ არ სურთ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილებში. პოლონელმა ხელისუფლებმა დახმარებისათვის მიმართეს მართლმადიდებელ ეპისკოპოს საბას, რომელმაც სცადა დაეყოლიებინა ჯარისკაცები დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ნაწილებში. მაგრამ მის ცდას წარმატება არ ჰქონია. ჯარისკაცების აზრით, ამ საკითხის გადაჭრა ინგლისელ ხელისუფალთაგან არის დამოკიდებული. ეს ჯარისკაცები ამტკიცებენ, რომ პოლონეთის არმიაში საერთოდ არის 2,5 ათასი ჯარისკაცი — დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის მკვიდრი, რომელთაც სურთ გამოვიდნენ პოლონეთის არმიის შემადგენლობიდან.

ჰიტლერელი ჯაშუშები და კონტრაბანდისტები არგენტინაში

ნიუ-იორკი, 29 მარტი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ცნობით, არგენტინის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დაკავებულია ერთი თვითმფრინავი, ორი იახტი და ერთი კანჯო, რომლებსაც, როგორც ეტყობა, ჰიტლერელი აგენტები იყენებდნენ გერმანელთა იმ წყალქვეშა ნავებთან და გემებთან კავშირის გასაბმელად. რომელნიც არგენტინის სანაპიროს ახლო დადიან. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ, შესაძლოა, გერმანიის საელჩომ ბუენოს-აირესში მოაწყო გაქცევა მონტევიდეოს ახლოს 1939 წლის ივნისში ჩაძირული გერმანელთა სამხედრო გემის „ადმირალ ჯრეფ შპეეს“ ეკიპაჟისა, რომელიც ინტერნირებული იყო არგენტინაში. გაურკვეველია ბოლამდე, ამ ოპერაციებში, ინტერნირებულ ოფიცრებს ეკავათ ადგილი.